

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2013 წლის 20 დეკემბრის =42 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 20 დეკემბრის =42 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2013 წლის 20 დეკემბრის =42 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 20 დეკემბრის =42 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 13 ნოემბრის №535478 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 12 ნოემბრის №885 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში 287 550 ლარის ოდენობით, გაიზარდოს ნაერთ ბიუჯეტში სახელმწიფო სტიპენდიების დაფინანსების პროგრამა 287 550 ლარით და გაიწეროს ხარჯვითი ნაწილის სტიპენდიების მუხლში.

2. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების ქონების გადასახადის მუხლიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების წოდებრივი სარგოს მუხლში.

ასევე, შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 71 578 ლარი; ტრანსპორტის დაქირავების გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების მუხლიდან 6 700 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან 4 648 ლარი; მოგების გადასახადიდან - 461 ლარი; შენობა-ნაგებობების კაპ. შეკეთების მუხლიდან 2 648 ლარი; ელ. მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 9 579 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 6 075 ლარი, სულ ჯამში 101 689 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ:

- სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავლების გრაფაში მივლინების ხარჯების მუხლიდან 59 000 ლარი; სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან 91 242 ლარი; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯების მუხლიდან 1 675 ლარი, სულ ჯამში 151 917 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში. ასევე, სატრანსპორტო საშუალებების საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯების მუხლიდან 3 609 ლარი გადატანილ იქნეს სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯების მუხლში;

იჯარის შემოსავლების გრაფაში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 50 203 ლარი და სხვა ხარჯების დღგ-ს გადასახადიდან 34 000 ლარი, სულ ჯამში 84 203 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში;

დეპოზიტიდან შემოსავლების გრაფაში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 71 060 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

3. ასევე, განხორციელდეს საფაკულტეტო ბიუჯეტებში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

3.1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს 20 004 ლარით, რაც გამოწვეულია სტუდენტების მიერ დამატებით შეძენილი კრედიტების ხარჯზე შემოსული თანხებით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილებები: შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 10 416 ლარი; დანამატის მუხლიდან 867 ლარი; მივლინების მუხლიდან 3 917 ლარი; საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 12 019 ლარი; ნორმატიული აქტები, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის მუხლიდან 906 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან 154 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 18 678 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 1 505 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან 378 ლარი; უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლიდან 1 000 ლარი; სატრანსპორტო ხარჯების, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯების მუხლიდან 500 ლარი; ტრანსპორტის დაქირავების გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების მუხლიდან 2 200 ლარი; კადრების მომზადება-გადამზადებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლიდან 2 255 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯებიდან 5 000 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 6 164 ლარი; ელ. მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 682 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 1 050 ლარი; ნედლეული და მასალების შეძენის მუხლიდან 22 212 ლარი, სულ ჯამში 89 903 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

3.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი, სტუდენტების მიერ დამატებით შეძენილი კრედიტების ხარჯზე შემოსული თანხებით გაიზარდოს 17 824 ლარით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილებები: სუბსიდიის მუხლიდან 1 115 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლში; ხოლო 367 ლარი გადატანილ იქნეს ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლში; ტრანსპორტის დაქირავება, გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების მუხლიდან 3 400 ლარი გადატანილ იქნეს რეკლამის ხარჯების მუხლში; პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს: საკანცელარო ხარჯების მუხლიდან 3 045 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეცლიტერატურის შეძენის ხარჯების მუხლიდან 3 108 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯების მუხლიდან 706 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 16 597 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 2 000 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 7 008 ლარი; სხვა არამატერიალური აქტივების მუხლიდან 1 000 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 3 117 ლარი; შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 25 000 ლარი, სულ ჯამში 61 581 ლარი.

3.3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები: ტრანსპორტის დაქირავების, გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების მუხლიდან 800 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების მუხლში.

ასევე, ხელფასის მუხლიდან 60 000 ლარი; მივლინების მუხლიდან 1 000 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის მუხლიდან 3 500 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლიდან 940 ლარი; სატრანსპორტო ხარჯების, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯების მუხლიდან 1 000 ლარი; რეკლამის ხარჯების მუხლიდან 1 000 ლარი; სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან 1 600 ლარი; ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლიდან 600 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 2 000 ლარი; ნედლეულისა და მასალების შეძენის მუხლიდან 6 000 ლარი, სულ ჯამში 77 640 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

3.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი სტუდენტების მიერ დამატებით შეძენილი კრედიტების ხარჯზე შემოსული თანხებით გაიზარდოს 4 301 ლარით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილებები: არაფინანსური აქტივების სხვა შენობა-ნაგებობების მუხლიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური აქტივების მუხლში. ასევე, ხელფასის მუხლიდან 100 000 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის მუხლიდან 30 342 ლარი; სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან 3 300 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 37 000 ლარი; ელექტრომომწობილობების შეძენის მუხლიდან 6 432 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 1 386 ლარი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების მუხლიდან 1 600 ლარი; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლიდან 550 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯების მუხლიდან 400 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა ხარჯების მუხლიდან 1 000 ლარი; სხვა შენობა-ნაგებობების მუხლიდან 800 ლარი, სულ ჯამში 182 810 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

3.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი სტუდენტების მიერ დამატებით შეძენილი კრედიტების ხარჯზე შემოსული თანხებით გაიზარდოს 21 486 ლარით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილებები: ხელფასის მუხლიდან 7 972 ლარი; დანამატის მუხლიდან 2 089 ლარი; მივლინების მუხლიდან 9 771 ლარი; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლიდან 1 505 ლარი; ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლიდან 1 305 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 34 978 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 1 625 ლარი; არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლიდან 6 690 ლარი; სხვა არამატერიალური აქტივების მუხლიდან 1 610 ლარი, სულ ჯამში 67 545 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლიდან 3 675 ლარი გადატანილ იქნეს ელექტრომომწობილობების შეძენის მუხლში.

3.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი სტუდენტების მიერ დამატებით შეძენილი კრედიტების ხარჯზე შემოსული თანხებით გაიზარდოს 10 251 ლარით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილებები: მივლინების მუხლიდან 3 111 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯების მუხლიდან

2 000 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 19 182 ლარი; არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლიდან 3 500 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯების მუხლიდან 179 ლარი; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლიდან 1 936 ლარი; ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლიდან 460 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 1 135 ლარი, სულ ჯამში 31 503 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, სუბსიდიის მუხლიდან 900 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

3.7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი სტუდენტების მიერ დამატებით შეძენილი კრედიტების ხარჯზე შემოსული თანხებით გაიზარდოს 38 542 ლარით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილებები: სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯების მუხლიდან 1 000 ლარი; ხოლო ორდენების, სიგელების, სუვენირების შეძენის ხარჯების მუხლიდან 1 300 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების მუხლში.

ასევე, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 82 458 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეცლიტერატურის შეძენის ხარჯების მუხლიდან 45 889 ლარი; კადრების მომზადება-გადამზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლიდან 18 800 ლარი; სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან 15 000 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 50 851 ლარი; ელმოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის და ავეჯის შეძენის მუხლიდან 21 039 ლარი; საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 12 064 ლარი, სულ ჯამში 246 101 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

3.8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი სტუდენტების მიერ დამატებით შეძენილი კრედიტების ხარჯზე შემოსული თანხებით გაიზარდოს 98 930 ლარით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილებები: კვების ხარჯების მუხლიდან 3 068 ლარი; ხოლო სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული მუხლიდან 950 ლარი გადატანილ იქნეს იჯარასთან და ქირასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლში; ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და

მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლიდან 1 100 ლარი გადატანილ იქნეს რეკლამის ხარჯების მუხლში; მუხლიდან სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 400 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების მუხლში.

ასევე, შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 175 000 ლარი და საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 3 800 ლარი, სულ ჯამში 178 800 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში; წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან 978 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯების მუხლში.

4. განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებსა და ნაერთ ბიუჯეტში შიდა მუხლობრივ ცვლილებები, კერძოდ:

4.1. ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხელფასის ფონდის ეკონომიიდან 17 991 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

4.2. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 1 300 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, მივლინების მუხლიდან 720 ლარი; საგამომცემლო ხარჯების მუხლიდან 500 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლიდან 100 ლარი; ინტერნეტის მომსახურების ხარჯების მუხლიდან 260 ლარი; ელენერგიის ხარჯების მუხლიდან 1 150 ლარი; წყლის ხარჯების მუხლიდან 100 ლარი, სულ ჯამში 2 830 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის ხარჯების მუხლში.

4.3. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლიდან 250 ლარი; ინტერნეტის მომსახურების ხარჯების მუხლიდან 180 ლარი; ელენერგიის ხარჯების მუხლიდან 400 ლარი; ნორმატიული აქტებისა და სპეცლიტერატურის ხარჯების მუხლიდან 230 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში.

ასევე, ელენერგიის ხარჯების მუხლიდან 480 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების საწვავ-საპოხი მასალების შეძენის მუხლში; ხოლო 420 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და ექსპლუატაციის ხარჯების მუხლში.

გარდა ამისა, შრომის ანაზღაურების ხელფასის ფონდის ეკონომიიდან 13 153 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

4.4. ინსტიტუტ „ტექინფორმის“ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხელფასის ფონდის ეკონომიიდან 4 520 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

4.5. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხელფასის ფონდის ეკონომია 1 185 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

4.6. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის ფონდის ეკონომია 8 790 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში; ხოლო საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 247 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერჯის ხარჯების მუხლში.

4.7. ვლ. ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის ფონდის ეკონომიიდან 8 300 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

ასევე, ელენერჯის ხარჯების მუხლიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის ხარჯების მუხლში; ხოლო ინტერნეტის მომსახურების ხარჯების მუხლიდან 330 ლარი და წყლის ხარჯების მუხლიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლში.

4.8. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხელფასის ფონდის ეკონომია 713 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

4.9. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტრო ენერჯის ხარჯებიდან 65 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების მუხლში.

5. სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია 2013 წლის 12 დეკემბერს შოთა რუსთაველის ფონდსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე; ასევე, ევროგრანტების დაზუსტებული დაფინანსებიდან გამომდინარე და ბიუჯეტი გაზრდას ექვემდებარება 2 073 889 ლარით, მათ შორის ევროგრანტების მოცულობა შეადგენს 1 130 764 ლარს და გაწერილია ხარჯვით ნაწილში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2013 წლის 20 დეკემბრის =42 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 20 დეკემბრის =42 სხდომაზე პროფ. დავით გორგიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან „საინჟინრო მექანიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის დადგენილება № 1029.

სენატმა გადაწყვიტა:

1. სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობების მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით, სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან, ცალკე სტრუქტურულ ერთეულად შეიქმნას „საინჟინრო მექანიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.
2. სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას „საინჟინრო მექანიკას“ მიენიჭოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ ალექსი გორგიძის სახელი.
3. „საინჟინრო მექანიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის შემდგომი განვითარებისათვის დამატებითი დანადგარებისა და მოწყობილობებით აღჭურვის და სასწავლო-სამეცნიერო გეგმის წარმოდგენა დაევალოს პროფესორ დავით გორგიძეს.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე